კუბრავ რუმბუბი გადადის უანწებით და ჯისკებით. ამაზე,
მართლაც, მომაგონდა ისპანიის ერთის ბრძენის გორა-
ლის განგარგულება: ბრძენმა გორალმა თავის სამოვლ-
ბელოში გასცა ბძახება, რომ ვინც დათვრებოდა, ფუ-
ლით ჯარშია უნდა გადაეხდა სახალსო შკოლები სა-
სარგებლოდ და იმით ისპანიაში მრავლდებოდა იმის
დროს სახალსო შკოლები. ახ, რა კარგი იქმნებოდა,
რომ ჩვენშიაც უფილიყო ეს განგარგულება, მაშინ იქ-
ნება ჩვენს სურამსაც ჰლირსებოდა შკოლა.

VI

მე-XIX საუკუნის არსენა—წულუგიძე თავისის ამსა-
ნაგებით გიდეგ აქედენ დეესეტება. ჩენი ზოლიცა დას-
დეგს დასტერად, მაგრამ (არხად დარჩეს ეს უეს მაგ-
რამი,“სულ ამ მაგრამის ბრალია.) ვერ დაიჭირეს. მე
რომ ვიცი მაგათი გარჯილობა... მესტვირესი არ იყოს
უფარბაზნოთ არ იქმნება თქვენი არსენას დატრას“...
სავიფიქროა, რომ გაუჭირდა ჩვენ ზოლიცას ერთის კა-
ტის დატრას. ესლაც შეეტყო ზოლიცას, რომ ტატო-
სადაც დროებსაც ატარებსო. მაშინვე აფრინდნენ თავი-
სის ჩათრებით (ჩათრები მართლ საწყალ გლეხებთან არიან
გმირები) მაგრამ (არ ღმერთო ჩემო, გიდეგ ვედები ამ
მაგრამს) უვანვე ცარიელნი მოვიდნენ.

მგელს მგელობა ერჭვა, ტურამ ქვეყანა ამოგდლო.
წულუგიძეს ვნებით, მაგრამ ამასე უარესები გამოდიან.
ის თუ ჩიხადნებით მიდიოდა საქურდლად, ესენი ურ-
მებით მიდიან. გავინილა გოთაყვა, ამისთანა შეუბოვარი
და ურცხვი ვაზაგები! გავიგონათ ქურდობაზე ურმით
წასულა? წურელის (29-ს) გაურტესათ ერთის აქაურის
ვაჭრის ბედელი და იქიღამ ამოღებულნი ტომრები ჰუ-
რი და ქერი დაეწყოთ, განმარს იქ მიყვანილ ურმებზე
და წაქლოთ. ღმერთო უარესისაგან დაგვიფარე!...

VII

არა ეშკვლა რა ამ მშვიტ-მწუროვალე სოსუმიდამ
გადმოსულს ბერძნებსა. ისევე ისე მშვიტ-მწუროვალედ,
ისევე ისე უნუგემოდ არიან ეს უველსაგან დავიწყებულე-
ბი. ახლა ამას მოემატა წრეგანდელი ზამთრის სუსნიც—
ამასე მეტი შეწუხება იქმნება? ბეჭი თხუნვანც გაის-
ტვირეს, ბეჭი ტელეგრამებზეც გაგზავნეს, მაგრამ უ-

რის მკვლელობა აჩვენებს გამოვიდა. ცოდნა და სიწმინდობა, ღმერთს გავიფრთხილეთ, რომ ამისთანა განათლებულ საუკუნეში გვერდით მშვენიერ-მწვეურვალე და სიცილით დამზრალ-წვადებულნი ასობით ადამიანები იტანჯებოდნენ და მიმსჯელები აჩვენებდნენ იყოს....

VIII

გაზეთებმა საყვირი დაჭკრეს: ჰანი მოკვდა! ნახეთ გულმა არ მოუთმინა, დეეშურა სააქიოს ვიკტორ ემანუელთან. საკვირველი კავშირი ჰქონდა ჰანის ცხოვრებას იმ კაცის ცხოვრებასთან! აქ ვერ რიგდებოდნენ ერთმანეთში, სააქიოს, ვანსოთ, როგორ წავლენ იოლად? აი იქ იქმნება საყვლოს ჭერა—ბერტეა!... ღმერთმა საუკუნო განსვენება მანინც მიანიჭოს!

ს. ბაერელი.

საზოლიტიკო მიმოხილვა

საზრანბეთი.—ღუბუტატა ჰალატს, როგორც მოგესვენებათ, სხვათა შორის, უზურია ერთი მძლავრი იარაღი, თუ ვინიცილობა მთავრობამ მინდობა სხვის წარმომადგენელთათვის დალატება. ეს იარაღი არის ბიუჯეტი. მაკ-მაგონმატ, სხვათა შორის, ამ იარაღის შიშით დაუთმო ჰალატს: ვაი თუ ფული არ მამცენო და რითი გავწიო მმართველობა. მაკ-მაგონის დამარცხების შემდეგ რომ რესპუბლიკის მომხრე სამინისტრო დანიშნა და ჰალატს ცოტად თუ ბევრად შიში მოეგლო, რეზუბლიკელებმატ ისურვეს ბიუჯეტის დამტყიცება. მაგრამ ჯერ-ჯერობით, სიფთხილისათვის, მეთორმეტე ნაწილი გადაწვეტიეს. საფრანკეთი, გულ-მშვიდი და მოსვენებულად, მიეტა ჩვეულებრივს ცხოვრებას და მოღვაწეობას. რაღა შიში უნდა ჰქონდეს? მაკ-მაგონი და მისი კარისკაცები დაუმორჩილდნენ რესპუბლიკელებს, ჰალატს მიეტა გულწრფელი რესპუბლიკელი სამინისტრო, უოკელის ნდობის ღირსი. პარლამენტში შეტანილ იქმნენ სხვა და სხვა წინადადებანი საფრანკეთისა და რესპუბლიკის სასარგებლოდ. მაგრამ უცრად სელმეორერედ აქშალა ჰალატს შიში: ჰერტოგ ბროლჰის მეგობრებს დაუწევიათ სენატის წინაშე მცადინება ბიუჯეტის უგუბდებისათვის, თუ ნაწილ-ნაწილ იქმნება შემოტანილი. მათ უნდათ, რომ ბიუჯეტი რაც შეიძლება ჩქარა და მოლად იყოს დამტყიცებული პარლამენტის მიერ. ემუქრებიან კიდევ ჰალატს—

თუ ასე არ მოიქცეითო და ჯერ ბიუჯეტს არ დამტყიცებთო რაც სენატი განიხილავსო რესპუბლიკელთა მიერ წარდგენილ წინადადებებსაო. სხანს მაკ-მაგონის კეთილისმოსურნენი არ არიან ისე მიერუბულნი და მიძინებულნი, როგორც აქამდისინ ეტუბობდათ. იგინი ფხიზლათ არიან და ელიან მხოლოდ პირველს შემთხვევას, რომ იმ გვირივე განსცდელი გადასდგენიოს რესპუბლიკას, როგორც 16 მასის აუტებს მაკ-მაგონმა. რესპუბლიკელებიც არ არიან გულსელდაკრეფილნი. იგინიც ამბობენ—მანამ სენატი არ გასინჯავს ჩვენ მიერ წარდგენილ წინადადებებს ბიუჯეტი არ მოგერთმეკათო. ამ გვარად ჩემ-ჩემი მუქარა და დაშინება რესპუბლიკელთ და დამარცხებულთ დასის შორის ისეე სუფევს და სრულიად დაწყნება შინაგანის პოლიტიკისა საფრანკეთში ჯერ შორს არის. მაკ-მაგონს და მის მეგობრებს ჯავრი მოსდით, რომ სრულიად თანხმობა სუფევს სამინისტროისა და ჰალატის შორის. ამიტომ უოკელ დონისძიებას სმარობენ, რომ რამე განსეთქილობა ჩაუდონ მათ და დიუფორსაც იგივე უოფა დააყაროს, როგორც უიულ სიმონს.

ამსტრი-შენზრია.

ავსტრია, ძალიან მშვიდობიანათ დაუსკდა რუსეთის მიერ წარდგენილ შეტყების პირობებს, მით უფრო, რომ თვითონ რუსეთმა მინდობა კონფერენციით განხილვა შეტყების პირობათა რამდენიმე მუხლისა. მაგრამ ერთი გარემოება აწუხებს ავსტრიას: რუსის ჯარის მოძრაობა სტამბოლისაკენ. აი რას იწერება ამის შესახებ გაზეთის „Indépendance Belge“-ის კორრესპონდენტი ვენიდან: უმართლად და ეტყვი ადარ არის: რუსები მიდიან რსმალეეთის სტრატეგია ქალაქისაკენ. აქ ყველა კითხულობს, თუ რა განზრახვა აქვს ამ მოძრაობას? რსმალეეთი ხომ სრულიად დაუმორჩილდა რუსეთს და მიიღო კიდევ მორიგების წინა პირობები. ნუ თუ რომელიმე სამხედრო მოთხოვნა ნილება მოითხოვს ამას? არა, —რადგანაც რსმალეეთმა დამარცხებულად აღიარა თავისი თავი და არავითარ წინადადებებსაც აღარ იჩენს. მაშ ამ სტამბოლისაკენ მსვლელობას სხვა მიზეზი უნდა მოუძებნოთ. სასახლოდ? ეს არ შეშვენს აწინდელს მძიმე გარემოებებს. მაშ იქნება მის მოსდევს რამე საზოლიტიკო მოსაზრება? ესე კერაფერი გამართლება ესაა, როდესაც ინგლისმა გამოაცხადა, რომ თვით დროებით დაჭერც სტამბოლის

არ არის მისთვის სასურველი. აი ამიტომაც ავსტრი-
ვერების მიხედვით ეძლევა თვითონაც მიეტყოს მოქმედებას.
რაც შეეხება სტამბოლს, მას შეეძლო მშვიდობიანი მაგ-
რებელი ყოფილიყო იმ დროს, როდესაც მხოლოდ მსე-
დრობაზე იყო მიგდებული საქმე. მაგრამ ესეა კი სხვა-
სტრია უნდა წინ დაუსვდეს ახალს აჩუქობას ანუ
შეშ. იმას კი არ მოგასვენებთ, რომ ავსტრია აღჭურ-
ვილი იყო რუსეთის წინააღმდეგობისათვის. მაგრამ
ავსტრიელებს ჭკონიათ, რომ რუსის ჯარის მსვლელობა
სტამბოლისაკენ სრულიად საჭირო არ არის და შეშსაც
მოსწავებს.“

— სად შეიუბნება მომავალი კონფერენცია ჯერ არ
არის გადაწყვეტილი. რუსეთს არ უნდა, რომ გენაში მოს-
დეს კონფერენცია, რადგანაც ამ შემთხვევაში, დიპლო-
მატიის ჩუქურბის ძალით, თავმჯდომარედ იმ ქვეყნის
გარეშე საქმეთა მინისტრი უნდა იყოს, რომელშიაც შე-
იყრება კონფერენცია. ეს გარემოება უხერხულ იქმნება თუ
გინიცობაა რუსეთსა და ავსტრიის სარგებლობა ვერ მო-
თავსდებიან ერთი-ერთ შორის წამოყენებულს საქმეში.
გენილამ იწერებინა, ვითომ კონფერენცია ქ. ბადენ-ბადენ-
ში შეიყრება. ახლა ვინ დაესწრება ამ ყრილობას? თუმი-
ცა რუმინია, სერბია, საბურჯეთი, და ჩერნოგორია თხ-
რულბენ ჩვენც შავიშვითთა, მაგრამ საეჭვოა კია, რომ
ეს ვაწაწინა ქვეყნებიც მარჯაში, გარდა თუმცა სანა
სამართალია იმათაც უნდა ჭქონდეთ მონაწილეობა მომ-
ავალ კონფერენციაში, მეტადრე რუმინიას, ჩერნოგორიას
და სერბიას, რომელთაც დიდი ღვაწლი დაუდვიათ რმი-
ნობაში.

ინგლისი. 28 იანვარს ინგლისის პარლამენტი მი-
ნისტრს ნორტოტს შემდეგი სიტყვა წამოაოთქვამს, რომ-
ელშიაც ისტება მთავრობის პოლიტიკა აღმოსავლეთის
საქმის შესახებ: „მთავრობა აღიარებს დიდს
ცდილებას რსმალეთის მდგომარეობაში და რაც შეიძ-
ლებს ეცდება მსუდველობაში იქონიოს რსმალეთის ქვე-
შეკრძობითა სარგებლობა. მთავრობას ჭსურს მიუდგეს
კვრების საბჭოს ამ საგნის გასასჯელად; იგი არ დაე-
ბებს მხოლოდ თვის საკუთარ სარგებლობას და არა
ჭსურს მტკიცე საზღვარი დასდვას მაგალითებ რანდნელის
თავისუფლობის შესახებ. ინგლისს ჭსურს დაადგინოს ამ
სრულში თავისუფალი აღებ-მიცემობა და გადაწყვიტოს

ეს საქმე იმ გვარად, რომ არა სახელმწიფოს არ შეე-
ლოს დანდნელის სრუტის შეკვრა; ეს საჭიროა საქვეყნო
ვაჭრობისათვის, რომლის სარგებლობასაც დაეძებს მთავრო-
ბა. გარდა ამისა საჭიროა რომ აღმოსავლეთის ქვეყნ-
ბისაკენ გზა შეუკრავი დარჩეს. მაგრამ ყველა ამ საგან-
ზედ, რომელიც ერთგვარად სხვა სახელმწიფოებსაც ეხე-
ბა, ინგლისის მთავრობა წინადაცე არავითარ წინადადასს
არა სდებს. მთავრობა ყოველ დონისძიებას იხმარებს,
რომ შეიმოსხენებულს ხალხებს (რსმალეთის ქვეშეკრძო-
მებს) მიეტეთ ხეიანი მმართველობა; გარდა ამისა ეც-
დება დაცვას თავისუფალი წყლის სავალი საქვეყნო ვაჭ-
რობისათვის, და ეცდება ატკთვე, რომ არავითარი ში-
ში არ მიეტყოს ინდოეთის იმპერიას ეგვიპტის საშუალე-
ბით. მთავრობა მზად არის მშვიდობიანად გასინჯოს საქ-
მე კონფერენციაში; იგი ყველასეუდ უწინარეს ეცდება საქმე
ისე წაიყვანოს, რომ სამუდამო მშვიდობიანობა დაარ-
სდეს, რადგანაც უკანასკნელის დროის შიში და რ-
წუალშუა დგომა ძნელი ასატანიდა.

მთავრობის მიერ მოთხოვნილს სესხს აქვს შემდე-
გი განზრახვა: ინგლისს ჭყავს მხედრობა, რომელიც
რიც ხვით თუმცა მდინეა, მაგრამ ჩქარა შეუძლიან გადადება
და გამრავლება. მოთხოვნილის ფულის ერთი ნაწილი
მოსმარებული იქმნება ჯარის დასამზადებლად (სამომად)
თუმცა მთავრობას იმედი აქვს, რომ ეს დამზადება არ
დასჭირდება, მაგრამ მანინც ხელში ჯეროვანი ფული უნ-
და ჭქონდეს თავის პოლიტიკის დასასმარებლად.“

— გაზეთის „Сѣверный Вѣстник“-ის ღონდო-
ნელი კორესპონდენტი იწერება სხვათა შორის შემდეგს:
„რსმალეთი აღარ არის. იქმნება რამდენიმე ხანი კიდევ
გასწიოს თავისი სიტყვისლე მარმარლოს ზღვის ნაში-
რას, მაგრამ კვრების საპოლიტიკო ისტორიის აწინ-
დელის ხანისთვის იგი მკვდარია. კვრება უყურებდა
რსმალეთს, როგორც ზღუდეს, რომელიც აბკოლებდა
რუსეთის გამდიერებას აღმოსავლეთით, მაგრამ ესეა ეს
ზღუდე დაიქცა. მთელმა კვრებამ კარგად იცოდა რამდ-
ნადაც იტანჯებოდნენ ქრისტიანები რსმალეთის უღელ
ქვეშ; ესეა ეს უღელი უკუგდებულია. რსმალეთის «გრე-
დიტორებს» იმედი ჭქონდათ, რომ რსმალეთი აუვა თვის
განსაცდელს და ვალს; ესეა ამ იმედსაც პოლო მოედო.
ინგლისი, გამატკობული საპოლიტიკო მხრით, უყურებდა
რსმალეთს როგორც თვის მოზავს რუსეთის წინააღმდეგ.

ესლას სამსაღმთისა ზაგი არავითარ სატყულობას არ მასწავლებს. თუ ჭსუყის ინგლისის მიზეზი იზოგოს რუსეთთან შეტაკებისათვის, ეს მიზეზი უნდა მოქმედოს სამსაღმთის გარედა. სამსაღმთი გაეცალა და ინგლისის დგას ესლას პირის პირს რუსეთის წინაშე.

უმომავალ კონფერენციასში ინგლისი გამარტოებული იქნება. რასაკვირველია კეთილ-გონიერ ინგლისელებს არ უნდათ რომ ინგლისი ეხვეწოს ევროპის რეგორც იმისთანა ქვეყანა, სადაც საზოგადოებრივ დასთან ბრძოლა გამაღმრებელია. ამისათვის კეთილ-გონიერი ინგლისელები ცდილობენ, რომ შეირიგონ მთავრობა და მისი მოწინააღმდეგნი აღმოასკლეთოს საქმის შესახებ. ეს მოწინააღმდეგნი არ ყოფილან რუსეთის კეთილისმოსურენნი; მაგრამ მთავრად დროს იგინი იყვნენ სამსაღმთის მტრნი. ესლას სამსაღმთი უძღურია, მასთანადამე ინგლისის რათა დასთან შორის ბრძოლას ერთი მიზეზი მოაკლდა: რამდენადაც მეტ თავისუფლებას მიანიჭებს რუსეთი სამსაღმთის ქრისტიანებს, იმდენად უფრო მეტ თანაგრძობას შეიძენს ინგლისის ღიბეკალებთან შორის, მთავრობის დასი გი მარტოკა ვერ გაუდგავს წესარჩლას სამსაღმთის აკვადობას, მასში ამ მხრით რიგი დასის მორიგება შესაძლებელია. მეორეს მხრით, თუ რუსეთი მოითხოვს თავისთვის იმისთანა რასმეს, რაც ინგლისს ეხვეწება საშემად, მეტადრე თუ რუსეთმა მოითხოვა სრუტების თავისუფლება მარტო რუსისა და სამსაღმთის სომადლებსათვის; თუ გამოჩნდა, რომ რუსეთისა და სამსაღმთის შორის ხელშეკრულება რამ სუფევს ინგლისის გავლენის შემცირებისათვის, მაშინ ინგლისს მთავრობა, რა დასსაც უნდა ეკუთვნოდეს, ყოველ დონიბიებს ინმარებს რომ იყენი გამოსდოს რუსეთს. ამ შემთხვევამაც რიგი დასის მორიგება შესაძლებელია. თუ მართლა რიგი დასი მოუსხერსდებიან ერთი ერთმანეთს, მაშინ ინგლისი მომავალ კონფერენციასში წარდგება როგორც პატივ-საწყემი ძალა, თუ არა და მას მოყლის მასთანად ატდება.“

ოსმალეთი. სიშინელ მდგომარეობაშია თურქე ამ უმად სტამბოლი იმის გამო, რომ მრავალი იქ იფარავს თავს მას აქედ, რაც რუსის ჯარმა სწრაფად დაიწია წინ. აი რას იწერება «Kölnische Zeitung»-ის კორრესპონდენტი: „ის უბედურება და აღიარებითი, რაც კომუნის

დროს (პარიჟში) მოხდა, თუკრის წარმოდგენას აწინდელ სტამბოლის მდგომარეობას რომ შევადაროთ. გამოქვეყნდა შორის 5% გზანდ დახარჯა სიცივით, შიმშილით და ჭყერის ნაკლებიანობით. საკვირველია, რატომ მეტი არ დახარჯა. ამ დღეებში ვაგონებიდამ გამოიტანეს 21 მკვდარი უმარული და 45 მკვდარი დედა-გატი; მრავალი ამთვანი დახარჯა სისხლის დენისაგან მშობიარობის შემდეგ. აი რა მანბო ერთმა მგზავრმა: ერთი დედა-გატი რომ გამოქვეყნდა, თან რა თვისი ძუძუ-მწოვარი შეიღაც წამოუყვანია. როდესაც დაუნახავს, რომ ვაგონში, ხალხის გროვისაგან, ჭყერი სამყოფი არ არის და ვერ შესძლებს ოთხავს ერთად აწოვოს ძუძუ, აუღია ერთი უმარული და ფანჯრისში გადაუგდია ტირილით. ამ ვაგონი შემთხვევა მრავალია. რა მოვლით უვალ ამ უბედურებაებს? მთავრობამ მარტო ესლას მიატყნა ყურადღება ამ საგანს და მარტო ესლას დანიშნა კომისია მის გასასწავლად. გადმოსასლბულთა და გამოქვეყნულთა რიცხვი თან და თან მატულობს; თან მოხდევს მრავალი შესაყარავად-მოყოფობა.“

დაეუმარტოთ ამას წიდევ შემდეგი სურათი, რომელსაც გვისატავს გაზეთის „Daily News“-ის კორრესპონდენტი: „ქუჩა-ქუჩა დაიარების რიგად დაიარაღებული ჩეჩქელები, რომელნიც იათად ასალებენ სხვა და სხვა მომეტებულ ნიუთებს. არა ვინ არა ცდილობს ჩამოართოს მათ იარაღი. რამალებს, თუ გი აზადიათ რამე იგივე შიში აწუხებთ ჩეჩქელებისა, როგორც ქრისტიანებს. სამსაღმთის მთავრობა პირ-და-პირ ამბობს, რომ მას საშუალება არა აქვს დაიცვას წესიერება. ამისათვის საჭიროა სხვა სასულფიოფოთა დახმარება.“

ზვილი მოხუცების ბაზისა

სერბიული მოთხრობა

(თარგმანი)

I

ამ ჩვენს დროშიაც კარგი და სასინარულო რამ არის გაზათხული. ყვავილები ყვავიან, ბრწყინავს და თრთის დიდის ცის ნაძი, ჭყვთს ბუღბუღი და გული, აღსავსე სიყვარულითა და ამოვნებითა, სვავს სწორედ სამოთხის სიტკბობას. სული კაცისა აღტაცებულია, გული

აღვიღად და დიდის ნეტარებით ჭეუთქმს, სეჲნი მზად-
გაზურბობელ აჩიან სხვის მოსახვეწელად და სიტუბოებით
თრობილი ადამიანი თქმობს: ვიშ, რა ტუბილი იქმნე-
ბა ესლ სული დალიოს კაცმა მშენიერის ქალის გულ-
წყალო...

უფრო ლამაზი, უფრო სამუერი იყო გაზაფხული
წმინდა მეფის ნემანისა*) დროს. მაშინ სხვა დრო იყო;
მაშინ არ იყვნენ მიხეცნი სისარულთა მარამღვისა და
დაშაძვისა. მაშინ შეუძლებელი იყო იმისთანა წუთი,
რომ კაცის გულისათვის მიხეცნი რამ მიეცა ანუ ტირი-
ლისა, ანუ რისხვა-წყევლისა; არ უფოილა ისეთი წუთი,
რომლის გამოც კაცს სიტოცხლე მოჭსწყინდება ხოლმე.
და თუ მაშინ გული ჭეუთთავდა და დეღავდა რისთვის-
მე, — ეტ შეფოთავა და დეღავა წამოხდგებოდა ახლის
სახელის შოვნის ნდომისაგან, ახლის გამარჯვების წყურ-
ვილისაგან.....როცა მოხდებოდა ხოლმე, რომ ნათელი
შუბლი მეფისა შეიჭმუხუნებოდა და პირ-მქუშად მხრდი-
ლობელ წარბთა ქვეშ თვალნი მეფისანი რისხვით გაიფ-
ვებდნენ, ვითარცა ელვა შავ-ღრუბლებ შორის, მაშინ
შეუდგებოდა ხოლმე თითოელა და წრწოლა სეკბიის
მტერთა-ბერძნებსა და და მადიანთა; ჭეკმნობდნენ, რომ
ჭეჭ-ჭეხილი მათს თავზედ აპირობს მოსკლას...

მატალაია, ესლაც ისმის სიმღერა... მაგრამ ესლან-
დელი სიმღერები სამწესარო და სეკდიანი აჩიან. ანუ სეკდი-
ანი, რომ დედამ უმღეროს შვილს აკვანზედა, ბაშვი
სმას გაიკმენდს და თვით დედა კი გაფითრდება და
მითოლარე ბაგეთაგან უნებურად მოჭსწყდება მძიმე და
საშინელი წყევლა...სეკდიანია, სეკდიანი ესლანდელი
სიმღერა!...მოუთმენლობის თითოლოთა და გაბოროტე-
ბით ანთებულის სისხლითა ისმენს ესლ სიმღერებს
იუნაგა**) და ელის, როდის დაჭკავს საათი შურის-
ძებვისა, საათი სამაგიეროს გადხდისა...

იგი სიმღერა კოსსოვის სიმღერაა, სიმღერაა სერ-
ბელთა დამხობისა!

*) XII, XIII და XIV საუკუნის დასაწყისში სერბიაში მეფობდა სერბიის გეორგიოზობა, რომელითა ჩამომავალნიც იწოდებოდნენ სერბნიც. ამათი დრო მეფობისა იყო უბეტისი, უწარხინებულესი დიდი სერბიის ხალხის ისტორიისა. ნემანიჩებმა მოჭსწყეს წვრილი-წვრილი სამაგიეროები და ისეთი ძლიერი სამეფო შედგენეს, რომ დაუთქმეს თვითონ ბიზანტიანთა. ამათი მეფობის დროს სერბიაში მეფობდა ქრისტეანობა.

**) იუნაგა — მეომარს გაყ-გაცს ნიშნავს. სერბიაში ერთმანეთს უწყალოთ ისხენიან.

იმ ბეულს დროს კი, როცა უფოელი გატარებული
საათი სახელისა და გამარჯვების საათი იყო, სულ სხვა
სიმღერებს მღეროდნენ ხოლმე....მაშინ უფრო სახელ-
ვანნი იყვნენ საქმენი და უფრო ძლიერ ვაჟაცნი იყვნენ
იუნაგანი! იმ სიმღერებში იყო ჭეჭა და დიდება ვაჟაცნო-
ბაში გამოჩენილ იუნაგებისა, — და ვისაც ერთხელ მაინც
ეური მოუჭრავს იმ სიმღერებისათვის-ის სამუდამოდ და
გაუთავებლად ინატრებს მათს მოსმენას. იმ სიმღერებში
ადიდებდნენ სახელსა, თავისუფლებას და ძლიერებას სერ-
ბიის ერისასა!..

ოჭ, დმერთო, დმერთო! სადღა აჩიან ესლ ის
იუნაგანი? სად არის ის სახელი და ის დიდება? სად არის
პროშტინა წმინდა ნემანიჩების სრა-სასახლითა?...

II

ნემანიჩების გვარეულობიდან პირველის მეფის მარ-
მარჩილოს დარბაზში, მწკვრივად იდგნენ მარმარჩილოს
ლესკუშები დიდის შვილის-შვილის სახელეკანთა მამა-
შაშათა: ხელეკანს ხელს სული ჩაეღვა მარმარჩილოსათვის,
და გამოტვიფრულნი სახენი გამოძეველებდნენ სიყვარ-
ულს, გულმარტობას, სიმტკიცეს და ძლიერებას.

ამათ შორის ბრწყინავდა რქოც ტანტი, რომელ-
ზედაც მთელს რის საუკუნეს ისდნენ ნემანიჩები, ერთ-
გულთათვის ჭიჩისა და ლხინისა მოზარენი და მტერ-
თათვის — მუსხნი.

აღსავალი ტანტისა მორთული იყო ხალხებითა,
მძივით ქსოვილითა და რქოცმკედით გარშემო ნაკერითა.
ტანტის სირკელივ აბრეშუმის ბალიშებზედ ისდნენ
იუნაგანი. თვალნი მათნი ბრწყინავდნენ, როგორც დაუ-
ღებულ შუადამისას ვარსკლავანი, მომასწავებლნი მადი-
ლის განთიადისა.

ტანტზედ მეფე იჯდა.
აი წყნარად დაიწყეს კვნესა ჩანგის სიმებმა და ახალ-
გაზდა მომღერალი მოჭყვა სიმღერას. სახე მისი უფრო-
ცხადდებოდა გულის სიმსურვალისა და სულის აღ-
ფრთოვანებისაგან.

მომღერალი აჭებდა და ადიდებდა მეფის სახელს და
მეფე მღუმარედ უფრო უგდებდა; ზოგჯერ დიმილი
მოჭსდილოდა და მაშინ მისი ნათელი შუბლი გამოკრთოდა,
როგორც გვირგვინი, რომელიც ედგა თეთრის თმითა
მოხილს თმაზედა.

თან და თან მალა და მალა ასწია მომღერალსა და ზანკით ისმოდა სიმღერა მისი; ხან დახალს და წინაწს ხმაზედ გადმოვიდოდა, თრთოლით და კლამით ჩაიკვანებდა, თითქო წყლის ნაკადული შორბის და ბუტ-ბუტებსო; ხან ისეე აიძვლებდა ხმას, გაგიჟებით ჭსტმდა სიმებს; სიმები გრიალებდნენ, მისი ხმა ჭსტმდა, თითქო მესი წამოვიდაო ქუჩილის გრიალითა და ელვა-ჭექის ცეცხლის ისრებითაო.

იუნაგნი ყურს უგდებდნენ და თან და თან ცუცხლი კვიდებოდათ, თვალნი რისხვით ანთოთ; მათი მკერდი, როგორც აფორიაქებულის ზღვის ტალღა, ადიოდა-ხადიოდა ისეთის ძლიერებით, რომ გულზედ რეინის ზე-რანგები დაწყდათ. ხელი ძალა-ურეზუნად მივარდა ხლმის ტარს და ლამოდა ხლმის გაშიშვლებას. იუნაგები ააღელვა სიმღერის ლექსმა; სიმღერაში მტერი იწვევდა მათ საომრად; მომღერალის ხმაში მათ მოესმათ კვნესა და გოდება რძეში დატრიალითა, წამოუდგათ თვალწინ ბოლი, მტკერი, სისხლი და მინდორი, მოფენილი სისხლში შარკრილ მკვდრებითა... იმათ ეკრათ, რომ ცხენებსედა სხედან კიდეც და წინ მიერეკებიან დამარცხებულს და შეძულებულს მტერსა... წამოვარდნენ ფეხზედ, ძარღვებში სისხლი აუღუღდათ, გულმა შედგრა ცემა დაუწყო და ცუცხლმოვიდებულნი და აფორიაქებულნი მომღერალის სიტყვებითა, ხმა დახლა იმხდნენ: „საომრად! საომრად! ახალის სახელისათვის! ახალის გამარჯვებისათვის!“

მეფე მდუმარება.

მომღერალს, რომელიც ყოველის სიმის თრთოლით, ყოველის ხმის აღმოქმენით ასე კარგად და ღირსეულად ადიდებდა სახელსა და ძლიერებას თავისის კრისას, კაი ჯალდო ელოდდა.

მომღერალმა ნელა და ხმა დახლა დაახლოვდა სიმღერას ამ სიტყვებით:

წვიმასავითა გესლიანი მადის ისარი
 ხმალი წკრიალებს, შუბი ჭექით შუასედა ტუდებსა...
 ნეტა რა იქმნენ იუნაგნი? იგი სად არი,
 ვინც შურღულთ ქუჩილს ჭ ხლმის ელვას წინ დაუდგება.
 ნეტა სად არი, ერთის დაკვრით დაკვიმოს მტერი
 ქვეყანა ისხნას, ფარად ექმნას მეფისა ტასტას!
 ნუ გეშინთ! ისეე ძლიერია სერბისი ერი,
 მტრის არ ეშინის, კვლავ მოიქნეს ძლევისა ხმალსა...
 მას დიდთა გმირთა გვარის კაცი არ დაეკვას,
 და აჭა, გამზა ძველი კაცი...

შეიძრა გვირგვინი განჩისებულის მეფის თავზედ, შეიძრა ტასტი და მეფეს ფერი ეცვალა და ისე გახდა, როგორც მარმარილო, რომელიდამაც გამოტვიფრული იყო სახენი მის მამა-პაპისა. მოხუცებულის გამზის სახელი უფრო ჭსტმდა მეფეს, ვიდრე სახელი თავისის ქვეყნის მტრისა. დიდად ჭსწინდა, რომ მის გათქმულ სახელთან ისხენიეს სახელიც თავადისა, რომელიც წარმართი იყო.

— ხმა ჩაიწვიტე, შე წინდაუხედავო! დაუვიწია მომღერალს მეფემ.

მომღერალი მაშინვე გაჩუმდა, რაკი ასეთის გულისწყრომით უბიანა განჩისებულმა მეფემ. იუნაგნიც შეკრთდნენ მეფის გულისწყრომის შიშისაგან.

ერთი მათგანი წამოდგა, და მდაბლად დადუნა თავისი ჭალარა თავი წინაშე მეფისა. მან იგრძნო, რომ მეფე განჩისდა მისის სახელის სხენებაზედ. გამზამ თავადაბლად დაუგრა თავი მეფეს და იუნაგებს, რომელნიც ხმა ამოუღებოდა და გაეცებით შემოჭყურებდნენ, წარმოატყვა „მშვიდობითა“ და გამოვიდა. მას აქედ გამზა მეფის სასახლეში აღარავის უნახავს.

(მეფეგო იქნება.)

სოფლის მამოკრები

V

(ორი სოფლის დედა-კაცი: ერთი წყალზედ მიმავალი და მეორე წყლიდან მომავალი, მხარზედ ვაკეზე გადგმულნი შეიყურებიან და ღაპარაკობენ.)

პირველი ძალი. სოფიო აცოცხლოს ღმერთმა!..

მეორე ძალი. შენი თავი მიცოცხლოს ღმერთმა, ჩემო დარეჯან!

პირველი ძალი. რასა იქ, ქა?... როგორ გიკითხო?...

მეორე ძალი. გახლავარ გენაცვალე... მაგრამ, ეჭი... ჩვენი ყოფნა რაღა ყოფნა არის... თქვენი მამლი ავით გახდა, სესიაც ხომ მილიციათ წაიყვანეს და დავრჩი ალო უხნავი და ამოდენა წვრილ-ფხვობის სინაბარა... თავ-წყალი ვეღარ გამიღენია...

პირველი ძალი. ნეტა ამთენი მილიცია რათ უნდათ, რომ მიერეკებიან?

მეორე ძალი. აბა რა ვიცი გენაცვალე; ჩვენ კი ასე უკაცურათ დაგვეკრეს, და!... ამბობენ, ხონთქარს შამოუთვლია ჩვენის ხემწიფისათვის, რაც თათრები

გყავსო, სულ მე უნდა მომცეო, თორემ შევ ზღვასა და თეთრ ზღვას ერთმანეთსა ვკრამო....ერთმანეთსა ვკრამო, ასე უთქომს დედა-შვილობამა....

პირველი ძალი. უი, მეხი კი დავაყარე იმ ქერტლიან თავზედ!... ერთმანეთსა ვკრამო, განა ალა-ალა არის?... ჩვენ კი აღარ გვეკითხამს?...

მეორე ძალი. აბა, რა მოგახსენოთ მაგისი და ასე კი დაუკვეხნია: ერთმანეთსა ვკრამო....

პირველი ძალი. უწინამც დღე დაელიოს!....ჯერ ერთი ესა რომა, ჩვენოდენა ჯარი იმას სად ეყოლება; მეორე კიდენ რომა, ჩვენისთანა ზარბაზნები იმას არ ექნება, მესამე რომა—ის თათარია!..

მეორე ძალი. უსჯულოს, ღმერთმა ნუ გაუმარჯოს!...ასე კი გავიგონე, ბევრი ქრისტიანი ამოწყეიტაო, ამ ზამთარს; სულ მოხუცებულები, ქალები და ბალები დაუქლევითაო, სულ ქრისტეს წვალება აულებინებიაო....

პირველი ძალი. თათარი—თათრულსა იქს, მაშ რა!...აბა ჩვენს ვაჟკაცებს შაჰბოდა, შვილოს?... ჩვენებდნენ თავის თამაშას, დაჰხურავდნენ დედა-კაცის ლეჩაქს!...

მეორე ძალი. ჰაი, ჰაი, რომ დაჰხურავდნენ....

პირველი ძალი. აი, ერთი ჩამიფარდებოდნენ ხელში!...მე ხომ დედა-კაცი ვარ და, დედა-კაცი არ ვიქნებოდდი, თუ იმათ ღორის ხორციით არ გამოვადობდი, ი ურჯულოებსა!..

მეორე ძალი. ღეთის წყალობა გაქვს რომ გამოადობდი.... მაგრამ ე ზღვები რომ ერთმანეთსა ჰკრას, რალა გვეშველება?!...ხომ დავიხრჩობით?...

პირველი ძალი. ნეტავი შენა!...ჰკრას კი არა,და!.. აქ კოკის ასამსები წყალი ვერსად გვიშოვნია,—ისე დაშრა ე წყაროები—და შენ კი იძახი: დავიხრჩობითო..

მეორე ძალი. წყარო—წყაროა და ზღვა—ზღვა არის...

პირველი ძალი. ზღვა რომ—ზღვა არის, ისიც კაცია, მღვეი ხომ არ არის?!...მეხი კი დავაყარე მეაქლემე თავზედ!...

მეორე ძალი. მაშ არ უნდა გვეშინოდეს?...

პირველი ძალი. რა პასუხია!...რისა უნდა გვეშინოდეს?..

მეორე ძალი. მაშ ახლა კი წავალ და გულდინჯათ დავიძინებ...მშვიდობით!

პირველი ძალი. მშვიდობით ქაჯან!... მაგისთვის ყურსაც ნუ გაიბერტყამ....ო დედა-შვილობამა!.... მეხი კი დავაყარე იმათ იმ ქერტლიან თავებზედ!...

ახალ გაზდა გლეხის ნასამობი

VI

(სუენისთვის)

ტყუილათ კი არ არის ნათქომი: „დედი-ნაცვალიო, თვალში ნაცარიო!“ რაც ჩემ თავზედ გამოვსცადე, იმას მოგახსენებთ. მაშ თავიდან მოვეყვები.—ი ბეჩავმა დედა-ჩემმა კარგა ხანია თქვენი ჭირი წაილო. რო გამოვიდა ოთხიოდ წელიწადი და ი დალოცვილს მამა ჩემს, აკი გაუწყრა ღმერთი და მოხუცებულობის დროს აეშალა საღერღელი... შაირთო ისეთი ყმაწვილი ქალი, რომ, მე, დედათ კი არა, ცოლათაც ძლიეს შემეფერებოდა, გამჩენის მადლმა!... ეჰ, შაირთო, შაირთო.... რა უყოთ!... ვთქვი, ობლობას მაინც აღარ შავიმჩნევ მეთქო... მიხაროდა...მიხაროდა, მაგრამ, ი სიხარული, სულ შხამათ ამოგვადინა, მე და ჩემ დას...ქალი კი არა, ვეშაპი რამა ყოფილა ი დასაქცივი... ნეტავი ჩვენ სახლში ხუთასი ალქაჯი გაჩენილიყო და იმას კი, აქ, ფეხი არ შემოედგა...პირველში კი მითომ პატარძლობდა, თურმე თავს იკატუნებდა და ერთ კვირას უკან კი მოგვეყო ხელი და სულ ცეცხლის ალში გაგვატარა.... ეს ორი წელიწადია, სულ არაქათი აღარ გვაქვს...მიადგება ჩემ დას: აი, სახლი დავაგეო, საქათმე დახვეტეო, ქათმებს საკენკო დაუყარეო, ცეცხლი აანთეო, შეკამანდი მოხარმეო, თონე გაახურეო, პური დააკარიო, აი ესა ქენიო, ისა ქენიო....ეს კიდენ არაფერი...დაჯდება თითონ ქალბატონივით, პურსა სჭამს, კარგა გამოიბრუყება და ჩვენ კი ნასუფრალიც აღარა გვხვდება ხოლმე... მე ხომ, ის არის: აი ღამის მეხრეთ წადი სესიავ, გუთანზედ—სესიავ, წისქვილში—სესიავ, ღორებში—სესიავ, ხატობაში წამიყვანე—სესიავ....ფეხები მაქვს გადაცვეთილი, ამთენი სიარულით....იმ დღეს მინდვრიდგან მოველ მშვიერი, პური არ გვიდევსო.... მესამე დღესკი, შავზედ, ერთი გროა დაობებულო

პურები ძალღებს გადუყარა!... ჩვენთვის კი არც
 ჭამაა, არც ჩაცმა, არც დახურვა, არც დახრება,
 არც დაკრება... ვყრივართ ესე საცოდავთ... ჩვენი
 ოჯახი ხომ გააწყალა... რასაც მორიდებს ხელში—
 დედ-მამას უგზავნის და ძმებს გაატანს ხოლმე....
 დალოცვილი მამა-ჩემიც მოხუცდა და სულ წევს,
 აღარცა რა ცოლისა სცხელა და აღარც შეიღებისა!...
 ვთხოვე ჩემი და გაათხოვე მეტიკი... გამომივარდა
 დედი-ნაცვალი და ერთი ყოფა დამაწია.... თავის
 ძმები კი ყველა დაქორწილა.—ამას წინათ ჩემი
 დისათვის ეცემნა... ნეტავი იცოდეთ, რაზედ?... ჩემი
 და ჩვენი დედი-ნაცვლის ნასწავლეს აკვანს არწევდა;
 ბაღში ტირილი თურმე დაიწყო, ძუძუ მოითხოვა
 და რათა ტირისო, მოსდგა და რაც სიგმე ჰქონდა,
 ის სიგანე მისცა... აბა, ჩემი დისა, რა ბრალი იყო?
 თითონ ის კაი დედა-კაცი კი ჩვენი დედი-ნაცვალი,
 გადამდგარიყო ბაღიდან და მეწვრიმანებებს ეკურ-
 კურებოდა.... ამიღრინდა გული, მაგრამ რას ვიქ-
 მოდი.. მეც ესე დაკონკილი დავდივარ,—ჩემს ტო-
 ლებში თავი ველარ გამომიყვია.... იმ დღეს მამა-
 ჩემს უთხარი, ამ შემოდგომასზე, თუ არ დამაქორ-
 წილე, მეტი აღარ შემიძლიან მეტიკი... ამ დროს
 ჩემი დედი-ნაცვალი გამოტყვრა და შამომიტიო:
 „შე ქეციანოო, ცოლს ვინ მოქცემსო!... რა დროს
 შენი ცოლიაო?!...“ დრო არი, თუ არა, მე უმფრო
 არ ვიცი, შეილოხა!...

ესლა ამ გაჭირებაში ვართ ჩაცვინული: მეცა
 და ჩემი დაცა, არ ვიცი საით გადაცვიდეთ?... ეგე-
 ბა თქვენ სადღეგრძელოთ, ერთი კაი რჩევა მოგვცეთ
 რამე, კაი გზაზედ დავვაყენოთ....

წაფ. ერისთავი.

16 აპრილს 1877 წ.

ივერიის კრემაციის პასუხები

—ლოქოს და მუროს ბაასის დამწერს. ჩვენ დიდი
 მადლობელი ვართ მისი, რაც შრომა გაუწიეთ ჩვენს
 გასეთს თქვენის წერილებითა. იმედი გვაქვს სკულადაც
 ან დაიმუკებთ ჩვენის გასეთისთვის შრომას. ხოლო
 შემოსესებულის „ლოქოს და მუროს ბაასს“ ვერ დაუ-
 ბეჭდავთ. გვეწმუნეთ, იგი ვიზედაც არის დაწერილი
 ანც საბაასელ დინს და ანც თქვენს შრომად.

—გიგოენის შესახებ წერილების დამწერს. ვიდრე
 დანახუნა წერილები ან მოგვუყა, რომ თავი და ბოლო
 ერთად განვიხილოთ, ვერ დაუბეჭდავთ გამოგზავნილებს.

—ს. ზიარში თ. ი. ზ. ა—შვილს. თქვენი წერილი
 თქვენს გულმტკივნეულობას ამტკიცებს, მაგრამ მანც
 დასაბუჭდად არ გამოდგება.

—„ავდარის“ (ლექსია) გამომგზავნელს. თუმიცა
 იწერებით რომ ეს ლექსი ძველია და ძველს ქალაქებში
 გიპოვნით, მაგრამ საქართველოს ბევრი ან დაკვლე-
 ბოდა წა, რომ სულაც არ გეპოვნათ.

—ორის ქალის ბაასის (ლექსია) დამწერს. ჩვენც
 ძალიან ვწუხანთ, რომ თქვენგან ლექსად აწერილს ქალს
 იმისთანა უბედურება შემთხვევია. იმასაც კი ვწუხანთ,
 რომ იმისთანა ამბავს ამისთანა ლექსი დაუბადავს.

—ციცა გულადის (ლექსია) დამწერს: მგონია
 მივხვდით, ვისაც აქვთ. ნამდვილად ქების ღირსია, თუ
 მართლაც ის არის, ვინც ჩვენა გგონია. გვიხარის, რომ
 მას თანამგძმობელი გამოჰსჩენია. რადგანაც თანამგ-
 ძმობელი თქვენ ბძანებულსანთ, ამიტომაც ვიმედოვნებთ,
 რომ არ დაგვედურებით ჩვენც ანც თქვენს ლექსზედ
 გუფანდილად მოგასხუთთ. თქვენის ჭურის ხალხი სი-
 მართლეს ექებს და ანც პირ-თვრობას. ეს ლექსი არ გი-
 ვარგათ, მაგრამ კი ზოგიერთში ეტყობა, რომ თქვენ
 თავის დროზედ რიგისან ლექსებს დაჭსწერთ. დემეტრის
 ჰქმნას რომ ეს იმედი გაგვიმართლდეს.

—ს. კავთისხევს მ. დ. ს. მ—ეს: თქვენი აგ-
 რესტრები იქნება ძველი საწერი იყოს, მაგრამ უფს-
 ზათოა ვის. ბატონო, რაცა კაცი ატონს, თუ აკრთა
 ტისსაა ჰსწერს მართლ თავის სასიამოვნოთ კი
 ან უნდა ჰსწერდეს, სხვის საიამოვნებისთვისაც უნდა იფიქ-
 როს. ლექსის წერა უნით არ იქნება. კაცს რომ ლექსის
 წერის უნია მოუვიდეს, გასეთის მკითხველისა წა ბრა-
 ლია. ვისაც უნდა ამ უნისაგან განთავისუფლება, იმი-
 სათვის ერთი უნარი წამალი ვიცით: აიღოს თავისი
 უხეირო ლექსი და დღეში რჩვეულ თვითონ წაიკითხოს.
 ამბობენ, რომ ანც თუ უნია მუროს დღესეც დაეკარ-
 გებო, ანამედ საზოგადოდ ლექსის დანახვაც შეჭხარ-
 დებო.

—ქართველს. თქვენს სიმღერებში ბევრი შეც-
 დომები იხრებს. უთქვენოდ მისი გასწორება შეუძლებე-
 ლია.